ჩვენი სკოლის წელიწდეული

2018/2019 სასწავლო წელი

Deutsche Internationale Schule Tbilissi

Deutsche Internationale Schule Tbilissi

DAS Deutsche Auslandsschulen International

ZfA Deutsche Auslandsschularbeit International

Schulen: Partner der Zukunft

შინაარსი

წინათქმა

დოქტ. საშა ტერნესის, გამგეობის თავმჯდომარის, წინათქმა 8
სკოლის დირექტორის გამოსამშვიდობებელი სიტყვა 10
ჰუბერტ კნირშის, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის, მისასალმებელი სიტყვა 14

საბავშვო ბაღი

ეს ჩვენ ვართ - საბავშვო ბაღი! 18
ჩვენი საბავშვო ბაღის განვლილი წლის ამბები 22
გერმანული ენის შესწავლა საბავშვო ბაღსა და მოსამზადებელ ჯგუფში 24
თამაში საბავშვო ბაღში 26

სკოლა

ეს ჩვენ ვართ - სკოლა! 30
ჩვენი სასწავლო წლის ამბები 42
მოსამზადებელი ჯგუფიდან დაწყებით სკოლაში გადასვლის პროცესის შესახებ 44
ჩვენი სკოლის ატესტატები 46
რას წარმოადგენს „გერმანიის ფედერალური მიწების განათლების ხარისხის მონიტორინგი“(BLI)? 48
„განათლების ხარისხის მართვა“ და ჩვენი საკოორდინაციო ჯგუფი 50
საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება 52
ჩვენი მოგზაურობა ჰამბურგში 54
სიახლე ჩვენს სკოლაში: პროფესიული პრაქტიკა 56
გეოგრაფიული ექსკურსიები - თვალსაწიერის გაფართოება 58
ფარდა იხსნება! ჩვენი სკოლის თეატრი 60
მშობელთა საბჭოს მუშაობიდან 62
სკოლის ფსიქოლოგის სამსახური 64
გავიდეთ სამყაროში! - პრაქტიკა სკოლასა და საბავშვო ბაღში 66
ჩვენი გახანგრძლივებული სკოლა: სასწავლო წრეები, საშინაო დავალებების კურირება და მრავალი სხვა! 68

ადმინისტრაცია

ჩვენი ადმინისტრაცია 72
რა მივირთვათ? 74

სკოლის დამფუძნებელთა გაერთიანება

გამგეობის მუშაობიდან 78

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi

მესავალი 01

ძვირფასო მოსწავლეებო, ძვირფასო მშობლებო, ჩვენი წელიწდეულის ერთგულო მკითხველებო,

ჩაიარა საინტერესო მოვლენებით დატვირთულმა სასწავლო წელმა. ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი ახალგაზრდა საერთაშორისო სკოლის წინსვლისათვის.

გამგეობისა და მთელი სასკოლო გუნდის გულითადი მადლობა სკოლის დირექტორს, ბატონ თომას შრიოდერ-კლემენტას, რომელიც, 2018 წლის ზაფხულში, საბერძნეთში დასახლებული, უკვე პენსიაზე გასვლას აპირებდა. ჩვენთვის ნამდვილი ღვთის წყალობა იყო, რომ ის უყოყმანოდ დაგვთანხმდა, ერთი წლის განმავლობაში დაგვხმარებოდა და სკოლის ხელმძღვანელობა ეტვირთა. მდიდარი გამოცდილებითა და გონივრული ხედვის წყალობით მან უდიდესი წვლილი შეიტანა სკოლის განვითარებაში. მთელი მონდომებით მიუძღვნა თავი სკოლის წინსვლისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და, ამასთან, სკოლის მუშაობის კურსი გერმანიის განათლების ხარისხის მონიტორინგისკენ (BLI) მიმართა, რომელიც, სავარაუდოდ, 2019 წელს უნდა განხორციელდეს. ვფიქრობ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მიმართაც არ დარჩენილა გულგრილი.

დირექტორის თანამდებობა ჩვენი სკოლის ახალ ხელმძღვანელს, ქალბატონ შტეფანი დროლის, ამ კვირაში უკვე გადაეცა. ბედნიერი ვართ მასთან თანამშრომლობით. სიხარულით ველოდებით ახალ მასწავლებლებს გერმანიიდან, რომლებიც მომავალ სასწავლო წელს ჩვენს სასკოლო ცხოვრებას ნამდვილად ბევრ ახალ იმპულსს შესძენენ. ცვლილებები კოლეგიაში საერთაშორისო სკოლების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ხარისხის მენეჯმენტს.

მომავალ სასწავლო წელს ჩვენი სასკოლო შენობის გაფართოებასა და სპორტისა და მრავალფუნქციური დარბაზის მშენებლობას დავიწყებთ. ეს ცვლილებები იმთავითვე იყო დაგეგმილი - ახლა კი საგარეო საქმეთა სამინისტროდან ამის განხორციელების ნებართვა მივიღეთ. ამრიგად, ჩვენი ნაბიჯ-ნაბიჯ მზარდი სკოლის სასწავლო სივრცეც გაიზრდება. მადლობელი ვართ იმ დიდსულოვანი დოტაციისთვის, რომელიც მომავალი მშენებლობისთვისაა გათვალისწინებული.

2015 წელს ჩვენ მიერ შემუშავებული არქიტექტურული კონცეფციის მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო სივრცის იმდაგვარად დაგეგმვა-განაწილება შეადგენდა, რომ საბავშვო ბაღისა და სკოლის სასწავლო პროცესი სამშენებლო სამუშაოებისგან დაცული ყოფილიყო. ამდენად, ჩვენი დიდი ცენტრალური დერეფანი არსებულ შენობასა და სამშენებლო მონაკვეთს შორის ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენს. შესვენებებისთვის განკუთვნილი ეზოები და, შესაბამისად, საკლასო ოთახები სხვა მხარეს მდებარეობს. ამასთან, სამშენებლო მონაკვეთთან მისადგომად (მშენებლებისათვის) არსებული შემოვლითი გზების გამოყენებაა შესაძლებელი, მოქმედ სასკოლო სივრცესთან შეხების გარეშე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვიცით, რომ სამშენებლო სამუშაოები საბავშვო ბაღისა და სკოლის სასწავლო პროცესში ჩართული ყველა ადამიანისთვის გარკვეულ დისკომფორტს გამოიწვევს. თუმცა, ამავდროულად ვაცნობიერებთ, რომ ამით ჩვენი სკოლის მომავალზე ვზრუნავთ.

ვამაყობთ იმით, რომ შევძელით ზედიზედ სამი წლის განმავლობაში (მომავალი სასწავლო წლისთვისაც) სასკოლო გადასახადის სტაბილურობა შეგვენარჩუნებინა. ამგვარად, საქართველოში კვლავ ფინანსურად ყველაზე ხელმისაწვდომ საერთაშორისო კერძო სკოლად ვრჩებით.

არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლა თავის არსებობას ქართველი და გერმანელი მშობლების ინიციატივას უმადლის, რომლის ფარგლებშიც 10 წლის წინ საქართველოში გერმანული სასკოლო ატესტატის გამცემი გერმანულენოვანი სკოლის შექმნის იდეა დაიბადა. მაშინ ეს გაბედული აზრი იყო, რომელიც ბევრს განუხორციელებლად მიაჩნდა. ამიტომაც დღეს ჩვენს მუშაობას არა ინდივიდუალური პრეტენზიები, არამედ ერთსულოვნება უნდა განაპირობებდეს.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი საბავშვო ბაღისა და სკოლის თანამშრომლებს თავდაუზოგავი მუშაობისთვის ისინი დიდი მოდნომებით უძღვებიან საბავშვო ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებას, მართავენ სკოლის სასწავლო პროცესს და ქმნიან უკონფლიქტო გარემოს, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენზე მონდობილი ბავშვებისთვის.

ამასთან, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამგეობის საპატიო წევრებს: თეა თაბაგარს, ლიკა ღლონტსა და გიორგი ბათლიძეს, ასევე სკოლის კავშირის სხვა წევრებს.

გისურვებთ, რომ 2018/2019 სასწავლო წლის სურათების დათვალიერებამ და მრავალფეროვან თემატიკაზე შექმნილი წერილების წაკითხვამ დიდი სიხარული მოგგვაროთ, რაც ჩვენი საბავშვო ბაღისა და სკოლის ცხოვრების უკეთ გაცნობაში დაგეხმარებათ.

დოქტ. საშა ტერნესი

სკოლის დამფუძნებელთა გაერთიანების
თავმჯდომარე

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის პირველი წელიწდეულისთვის

გამოსამშვიდობებელი სიტყვა

რარიგ სასიხარულოა, რომ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა პირველად თავისი არსებობის განმავლობაში წელიწდეულს გამოსცემს. ამგვარი კრებულები სკოლების უმრავლესობისთვის ჩვეულებრივი ამბავია და, მოვლენათა მოკლე შეფასების გარდა, ყველა მონაწილისათვის განვლილი სასწავლო წლის სასიამოვნო მოგონებებს უყრის თავს.

სკოლის დირექტორის წერილი სასწავლო წლის მოვლენათა რეტროსპექტივაა, ამ შემთხვევაში ჩემი პირველი და უკანასკნელი სასწავლო წლისა თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში.

ამ სასწავლო წელს ბევრი რამ გაკეთდა, რადგანაც მხოლოდ სკოლის განვითარებისთვის კი არ უნდა გვეზრუნა, არამედ საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლებისთვის გერმანიის განათლების ხარისხის მონიტორინგიც უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომელიც 2019 წლის დეკემბრისთვისაა დანიშნული. ამ ვიზიტისთვის წინასწარ უამრავი საბუთი მომზადდა კოლეგიის სკოლის დირექციასთან და გამგეობასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. დაგისახელებთ რამდენიმე მათგანს, რომლებიც ხელახლა შემუშავდა:

- ფუნქციათა განაწილების გეგმა ვალდებულებების აღწერით,
- ენების კონცეფცია,
- გერმანული ენის გაკვეთილების კონცეფცია,
- ინტეგრაციის კონცეფცია,
- კრიზისის მენეჯმენტი,
- გახანგრძლივებული სასკოლო რეჟიმის კონცეფცია,
- გადაცემის მენეჯმენტი,
- საჩივრების მენეჯმენტი,
- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მისია და სასკოლო პროგრამა და ა.შ.

ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლას 2018 წელს V-XII კლასების სასწავლო გეგმა დაუმტკიცდა: ამგვარად, ჩვენი სკოლის საგნების განაწესი გერმანიის ფედერალური მიწების განათლებისა და კულტურის მინისტრების მუდმივი კონფერენციის მიერ იქნა აღიარებული. იგივე ეხება სკოლის კურიკულუმებს. მათზე თანხმობა ნოემბერში გაიცა - ეს დიდი ნაბიჯია! - გარდა ამისა, 2019 წლის იანვარში საბუთების მთელი შეკვრით განაცხადი შევიტანე ჩვენს სკოლაში მაღალი კლასების საფეხურის შემოღების თაობაზე. როდესაც ახლა, ივნისში, XI და XII კლასების კურიკულუმებს წარვადგენთ, ჩვენი სკოლა ახალ ფაზაში შევა და გერმანული საერთაშორისო ატესტატისკენ (გსა - DIA) მიმავალ გზას დაადგება!

განსაკუთრებით მეამაყება ის, რომ ამ სასწავლო წელს ჰამბურგის ობერალსტერის გიმნაზიასთან გაცვლითი პროგრამა განვახორციელეთ და საწარმოო პრაქტიკის დანერგვა შევძელით. ჩვენი მშობლების ჩართულობაც დიდია; მშობელთა საბჭო მრავალ დონეზე აქტიურობს; აქ, უპირველეს ყოვლისა, მინდა გავიხსენო ქუჩის მოძრაობის წესების შესწავლის ინიციატივა და სკოლის წინ მოძრაობის სიტუაციის გაუმჯობესება. ამავდროულად, მსურს აღვნიშნო გამგეობისა და მოსწავლეების ჩართულობა სასარგებლო

და გემრიელი კვების თემაში. ამიტომაც მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა მონაწილეს: გემგეობას, მშობლებს, მოსწავლეებს და კოლეგიას!

ნება მიბოძეთ, სკოლის დირექტორის თანამდებობიდან მიმავალმა ადამიანმა, რომელიც ამ პოსტზე 2018 წელს პენსიიდან მოვიდა და 2019 წელს კვლავ ზემოხსენებულ მდგომარეობას დაუბრუნდება, მზერა წინ მივმართო და „განათლებაზე“ საკუთარი თვალსაწიერიდან ვისაუბრო. ეს, ერთი შეხედვით, კონსერვატიული შეხედულებაა, მაგრამ, შესაძლოა, 67 წლის ადამიანს შეეფერებოდეს კიდეც. უპირველესად, განათლების ოთხ სვეტს ვხედავ, რომლებიც თანაბრად კონსერვატიულად მოჩანს: **პიროვნება, უნარები, ცოდნა** და ძირითადი **სათნოებები**.

პიროვნების განვითარება მე-19 საუკუნის პედაგოგიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, დღეს კი უფრო პრიმიტიულად, თითქოს მოძველებულად გამოიყურება. მართლაც მოძველდა ეს ცნება? ჩემი აზრით, არა! პიროვნების ფორმირება ახლაც, ისევე, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბოლოს და ბოლოს, მომავლის პროფესიული გამოწვევები ახალგაზრდებისგან სულიერ სიძლიერესა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. მხოლოდ საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანები გაუძლებენ გლობალიზებულ სამყაროში, საკუთარ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და უცხო კულტურულ გარემოცვაშიც საკუთარი იდენტობის შენარჩუნებით შეძლებენ ორიენტირებას. პიროვნების ცნება ერთდროულად ემპათიის უნარს, კონფლიქტურ სიტუაციებში გამძლეობის, მარცხის მიმღებლობასა და სხვა ადამიანების დაფასების კომპეტენციასაც გულისხმობს. რა თქმა უნდა, ჩვენი პატარა მოსწავლეები პიროვნული ზრდის გზის მხოლოდ დასაწყისში დგანან, თუმცა უკვე ჩანს, რომ ეს ძალიან კარგი და სწორი გზაა!

გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სულ უფრო განუჭვრეტელი ხდება, ამიტომაც ადამიანებისგან განსაკუთრებულ **უნარებს** მოითხოვს: გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, კავშირების შეცნობისა და ცოდნის ბუნებრივად შეთვისების უნარებს. დღესდღეობით სასწავლო გეგმები მოსწავლეში ძირითადად უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, ეს მიდგომა მართებულია, მაგრამ კომპეტენტური და შედეგზე გათვლილი ქმედებებისთვის ცოდნაა საჭირო. ეს, უპირველესად, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო დისციპლინების, მშობლიური ენისა და უცხო ენების ცოდნას ეხება. არც მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ან სპორტის დავიწყება გამოდგება და ეს არა მხოლოდ სკოლაში არსებული კოგნიტური გარემოს გაწონასწორების მიზნით, არამედ ადამიანური ყოფიერების გამთლიანების მისაღწევად. ჩვენ ხომ გვინდა, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა დამოუკიდებლად სწავლა სკოლის დამთავრების შემდეგაც შეძლონ. ცხოვრების უარყოფით გამოწვევებთან გამკლავება ნებელობის განვითარების სფეროს ეკუთვნის და ეს განსაკუთრებით ყურადსაღებია!

ბოლოს მინდა დღეისათვის ჭეშმარიტად მოძველებული **სათნოების** ცნება გავაცოცხლო. სათნოებანი ქცევის ძირითადი სამოქმედო ნიმუშებია, შეუძლებელია მათი უბრალოდ სწავლა ან ვიღაცისთვის სწავლება! სხვისი ინტერესების, საჭიროებების, მგრძნობელობისა თუ რელიგიური შეხედულებების გათვალისწინება ის მნიშვნელოვანი სათნოებებია, რომლებიც მაგალითებით შეიცნობა, იქნებიან ეს მშობლები, თანაკლასელები თუ მასწავლებლები. ხანდახან საკუთარი ქმედებების წარმართვისთვის კანტის კატეგორიული იმპერატივიც სრულიად საკმარისია: „იმოქმედე ისე, რომ შენი ნების პრინციპის საყოველთაო კანონმდებლობის პრინციპად ქცევა იყოს შესაძლებელი.“ უფრო მარტივად რომ „ვთარგმნოთ“, ადამიანი საკუთარ საზღვრებს უნდა გასცდეს და სხვა ადამიანის ტყავში ყოფნა შეძლოს, მაშინ თავისთავად ეცოდინება, თუ როგორ მოიქცეს. ამგვარ იმპერატივში ოპტიმისტი ადამიანი მოიაზრება და ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო ოპტიმისტები ვართ!

ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც კი ამ მოკლე სასწავლო წლის მანძილზე მეგზურობა გამიწია: მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს, გამგეობასა და მშობლებს, რომელთა თანამშრომლობაც თითქმის ყოველთვის კონსტრუქციული და ღია იყო. მადლობელი ვარ შესაძლებლობისთვის, ერთი წლის

განმავლობაში ამ განსაკუთრებული სკოლის სათავეში ვყოფილიყავი.

დამშვიდობება: რეალიზმის დიდი წამრმომადგენელი, მწერალი თეოდორ ფონტანე, ჩემი სწავლის პერიოდში და, საერთოდ, მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემი მეგზური იყო, ამიტომაც მას დავესესხები. რომანში „სესილი“ გორდონი მომავალ განშორებაზე ფიქრებითაა მოცული: *„კიდევ ოცი წუთი რჩება: თხუთმეტი - საუზმისთვის და ხუთიც - დასამშვიდობებლად. რაღაც მეცოტავება, მაგრამ რაც უფრო ცოტაა, მით უკეთესი. რა უნდა თქვა? გამოსამშვიდობებელი სიტყვები სიყვარულის ახსნასავით მოკლე უნდა იყოს“.*

დაე, იყოს ასე: თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლას, სასწავლებელს, რომელიც ძალიან შემიყვარდა, მომავალში ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ! სიკეთე გქონოდეთ, უფალი გფარავდეთ და ნახვამდის!

თომას შრიოდერ-კლემენტა

თბილისის გერმანული
საერთაშორისო სკოლის დირექტორი
2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის ივნისამდე

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi

ძვირფასო მოსწავლეებო, ძვირფასო მშობლებო, თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის ძვირფასო თანამშრომლებო!

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში ბევრი რამ გვახარებს და გვეამაყება დიდი ხნის ისტორია, რომელიც სწორედ დრამატულ წუთებში გვახვედრებდა ერთმანეთს. გავისხენოთ თუნდაც 1989 წელი, რომელიც ორივე ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი თანამშრომლობა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, რასაც დადებითი პრაქტიკული შედეგები მოჰყვა კიდეც: წყლისა და ელექტრომომარაგებით დაწყებული, ორმაგი პროფესიული მომზადებით დამთავრებული, საქართველოში სწორედ ახლა რომ მკვიდრდება. ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს ის უამრავი ადამიანი ორივე მხრიდან, რომლებსაც მეორე ქვეყანა ძალიან შეუყვარდათ, რომლებიც ორივე ქვეყანაში ერთნაირად შინ გრძნობენ თავს. სწორედ მათ შეაქვთ უდიდესი წვლილი ეკონომიკურ ურთიერთობებში, კულტურულ და აკადემიურ გაცვლით პროცესებში, ერთმანეთის უკეთ გაცნობაში. მაგრამ ამ ყველაფრის ფონზე თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მაგალითი სწორედ რომ განსაკუთრებულია. ის ხომ, მთელი მისი სახელმწიფო მხარდაჭერის გათვალისწინებით, მშობლების ინიციატივით დაფუძნდა. ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებით სასიხარულოა სკოლაში სტუმრობა და მის პოზიტიურ ატმოსფეროში ჩაძირვა. იმავეს განიცდიან ჩვენი პოლიტიკური რანგის გერმანელი სტუმრები, რომლებიც სკოლის განვითარებაზე საკუთარ წარმოდგენას იქმნიან. ყველა მოზრდილი ამ დროს საკუთარი ბავშვობის საუკეთესო პერიოდს - სკოლის წლებს - უბრუნდება...

ეს განსაკუთრებული სკოლაა, რომელიც თავის აღზრდილებს მთელი ცხოვრების განმავლობაში გამორჩეულ ნიშნად თან გაჰყვება. მინდა მომავალში „ჩვენს“ სკოლას კეთილდღეობა და აყვავება ვუსურვო!

ჰუბერტ კნირში

ელჩი

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi

საბავშვო ბაღი 02

ეს ჩვენ ვართ - საბავშვო ბაღი

ცხენების ჯგუფი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნატო კიკნაძე (აღმზრდელი), თინა ჰუტენლოხერ-ციხელაშვილი, სოფია ჰუტენლოხერ-ციხელაშვილი, თინა დავითაშვილი, ლეო ჰეტ, თეო ქართველიშვილი, ელისაბედ ხეჩინაშვილი, ფოირაზ ბესკარდეს, იულიან მალიკ, ანა ბერუჩაშვილი (აღმზრდელი)

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნიკოლოზ ფარესიშვილი, ნიკოლოზ ნასყიდაშვილი, სალომე ხარაშვილი, ალექსანდრე პატარაია, მარინკა ზედანია, ელენე კუპრაშვილი, მარიამ კუპრაშვილი, სოფია სენატლი, მართა მჭედლიშვილი

ნინო ხვედელიძე

ეს ჩვენ ვართ - საბავშვო ბაღი დათვების ჯგუფი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ქეთევან კურცხალია (აღმზრდელი), სიმონ ფაიგელ, ოლივერ ორთ, გიორგი ავალიანი, გიორგი მაზმიაშვილი, სანდრო თურმანიძე, ირაკლი ბერიძე, სოფი-ნიკოლ როზელერ, სოფია ცომაია-ბლუმ, ანა შენგელია, ნიტა ნაცვლიშვილი, იანა პორაციქ (აღმზრდელი)

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

მაქს გინსბურგ, ალექს ულრიხ, ელენე კუპრაშვილი, ემილია ტოსატი, ესთერ ტოსატი, თეონა ძიძიგური, დავიდ ნაკეური, იესკო ბიტნერ, ტაისია იმედაძე

ქეთევან გელუტაშვილი

ეს ჩვენ ვართ - საბავშვო ბაღი

მოსამზადებელი ჯგუფი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნიკოლოზ ხუციშვილი (პრაქტიკანტი), თეა მეცხოვრიშვილი (აღმზრდელი), ლუკა რატიანი, ადომას რუბინ, ანდრია კუპრაშვილი, ნიკო ინგოროყვა, გიორგი ცომაია, დავიდ ვებერ, ილია ხარაშვილი, ნიკოლოზ ზუმბურიძე, ოთარ ზუმბურიძე, არჩილ ნაცვლიშვილი, ალექსანდრე აბრამიძე, ნინო გვაზავა, დიორთე ჰეხლერ (აღმზრდელი), ანა რევაზიშვილი (აღმზრდელი)

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ანდრია ხარძიანი, თომას შტერნ, კატერინა ნინიძე, მართა ვასაძე, ნიკი შარიფი, სანდრო ფარესიშვილი, ანე-მიშელ როზელერ, ელენა ბურდული, მონიკა ტერნეს, ირინე კვაჭაძე

თათია ბაზალიშვილი

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi

ჩვენი საბავშვო ბაღი ამ წელს
2018-2019 სასწავლო წელს
ჩვენს საბავშვო ბაღს 63 3-დან 6
წლამდე აღსაზრდელი ჰყავდა.

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi

გერმანული ენის შესწავლა საბავშვო ბაღსა და მოსამზადებელ ჯგუფში

ჩვენი საბავშვო ბაღის მრავალი აღსაზრდელი გერმანულ ენას პირველად ჩვენთან ეცნობა.

ჩვენ, აღმზრდელები, ბავშვებისთვის კულტურათა შორის დამაკავშირებელი ხიდი ვართ. ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღთან შეჩვევის პერიოდში ბავშვის ნდობისა და სითბოს მოპოვება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვთა ქცევებსა და აქტივობებს ჩვენი კომენტარები ახლავს თან.

გერმანულ ენასაც ყოველდღიურობაში გაცნობიერებულად ვიყენებთ: ბევრი განმეორებით, საუბრის ნელი ტემპით, კარგად გასაგები გამოთქმით, მახვილების დასმითა და საუბარში მოკლე სტრუქტურული წინადადებების გამოყენებით ბავშვებს უცხო ენაში ჩაღრმავების პროცესს ვუმარტივებთ.

ყოველდღიურ სიტუაციაში ბავშვები იოლად იგებენ და სწრაფად სწავლობენ მისალმებისა და დამშვიდობების სხვადასხვა ფორმას. ისინი ეჩვევიან დღეში მრავალჯერ განმეორებადი მიმართვების გაგებასა და შესრულებას, მაგალითად: „წადი, ხელები დაიბანე!“. იმასაც ვაქცევთ ყურადღებას, რომ ბავშვებმა საკუთარი სურვილებისა და საჭიროებების გერმანულად გამოხატვა ისწავლონ: „ხატვა მინდა!“; „გარეთ ვითამაშებ!“

ენის სწავლება საბავშვო ბაღის ყოველდღიურობის ნაწილია, რადგანაც თამაში, სიმღერა, ვარჯიში და ექსპერიმენტი ყოველთვის ენასთანაა დაკავშირებული.

ჩვენთან ყოველდღე ხორციელდება ენის მიზნობრივი სწავლება. საბავშვო ბაღში გვაქვს თემატური ჯგუფური პროექტები, როგორიცაა: „მე და ჩემი სხეული“, „მე და ჩემი ოჯახი“, „ცხოველები“ ან „წელიწადის დროები“. მოსამზადებელ ჯგუფში კარგი გამოცდილება გვაქვს ენის სწავლების ხელშემწყობ პროგრამასთან - „გერმანული ენა ფინკისთან ერთად.“ ენის სწავლებაში ასევე მნიშვნელოვანია მოსამზადებელი ჯგუფის აღსაზრდელების ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით შედგენილი სხვადასხვა პროექტი.

ჩვენს მიზნობრივ აქტივობებში საუბარს ცენტრალური ადგილი უკავია. ეს ემსახურება ლექსიკის გამდიდრებას, ენის გაგების გაუმჯობესებასა და გრამატიკული სტრუქტურების გავარჯიშებას.

ხშირად გვეკითხებიან, თუ რამდენად სწრაფად სწავლობენ ჩვენთან ბავშვები გერმანულ ენას.

ყოველი ბავშვი მოდის თავისი საკუთარი ბიოგრაფიით, საკუთარი გამოცდილებითა და ინტერესებით. თითოეული ბავშვი თავის უნიკალურ გზაზე ინდივიდუალური ტემპით ვითარდება.

ჩვენი გამოცდილებით ჩვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიდან ბევრს შეჩვევის პერიოდის შემდეგ უკვე შეუძლია მიჰყვეს აღმზრდელების მითითებებს, თუმცა გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ იმისათვის, რომ გერმანულად თავად დაილაპარაკონ და თანატოლებთანაც გერმანულ ენაზე ისაუბრონ.

სწავლის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია მჭიდრო, ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა აღმზრდელებსა და მშობლებს შორის.

როგორ შეგიძლიათ მუშაობაში დაგვეხმაროთ?

თუკი თქვენი ბავშვი საბავშვო ბაღში გერმანულ ენას სწავლობს და თქვენ კი ენას ფლობთ, ეს სახლის პირობებში ჩვენი დახმარების კარგ საფუძველს იძლევა: უყურეთ თქვენს შვილთან ერთად გერმანულენოვან ფილმებს, წაუკითხეთ წიგნი ან მოუსმინეთ მუსიკასა თუ აუდიოზღაპრებს. ჩვენი აღმზრდელები სიამოვნებით გირჩევენ, თუ სად შეგიძლიათ მოიპოვოთ ბავშვის ასაკის შესაბამისი მასალები.

თუკი თქვენ გერმანულად არ საუბრობთ, რას იტყოდით, თქვენს შვილთან ერთად ენა რომ გესწავლათ? ჩვენი მშობლების ნაწილი ამჟამად თავად დადის გერმანული ენის კურსებზე, ენის სასწავლო კურსი მშობლების ინიციატივით ჩვენს სკოლაშიც კი გვაქვს.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს არაფერი დავაძალოთ. სასწავლო სტრესს ენის მიმართ უარყოფითი ასოციაციების გამოწვევა შეუძლია - აქედან გამომდინარე, ბავშვს შეიძლება მოტივაცია და სიხარულის განცდა დიდი ხნით დაეკარგოს.

თუკი თქვენი ბავშვის სამყარო გაინტერესებთ, ითამაშეთ მასთან, თამაშის დროს კი - ესაუბრეთ!

ხშირად შეაქეთ თქვენი შვილი და მოიწონეთ მისი ქმედებები!

საშუალება მიეცით ბავშვს, თანატოლებს ეთამაშოს. ხელი შეუწყვეთ მეგობრობას, რომელსაც საბავშვო ბაღსა, თუ მოსამზადებელ ჯგუფში ეყრება საფუძველი!

ანა რევაზიშვილი

საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი

მოსამზადებელი ჯგუფის მუშაობა საბავშვო ბაღში

თამაში საბავშვო ბაღში

„როცა ბავშვობაში საკმარისად თამაშობ, ისეთ განძს დაატარებ თან, რომლიდანაც მთელი ცხოვრების მანძილზე შემოქმედებითი მარაგის შევსება ძალგიძს“ (ასტრიდ ლინდგრენი).

ჩვენი ბავშვების ყოველდღიურობის სტრუქტურირება იმთავითვე უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურები და რიტუალები გარკვეულ საყრდენს წარმოადგენს, ბავშვებს სათამაშოდ მრავალგვარი თავისუფალი სივრცე სჭირდებათ. თამაშის დროს პატარა იძენს იმ მრავალმხრივ გამოცდილებას, რომელიც ყველანაირი სწავლის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი საბავშვო ბაღის დღის განრიგში გარკვეული ფანჯრების სახით ყოველთვის არის გათვალისწინებული დრო, რომელიც შენობაში ან მის გარეთ თამაშს ეთმობა. მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ აირჩიონ, რა ურჩევნიათ დღეს - მშენებლობა თუ სახლობანას თამაში. ამასთან ირჩევენ იმასაც, თუ ვისთან ერთად ითამაშებენ ამჯერად. თავისუფალი თამაშის დროს ბავშვს აქვს საშუალება, ჩაუღრმავდეს იმ საკითხებს, რომლებიც მისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია განვითარების დონის შესაბამისად.

გოგონები კომკის ერთობლივი მშენებლობისას, საკუთარი ინიციატივიდან გამომდინარე, იგებენ, თუ რა არის მოტივაცია, გუნდური მუშაობა, ეცნობიან მასალის თვისებებს, სტატიკას, აკვირდებიან საკუთარ სხეულს და სხვ. ეს კი ძალიან მოსწონთ.

ბუნებაში თამაშს მნიშვნელოვანი ასპექტი ემატება - მოძრაობა. ბავშვებს მოძრაობის დიდი მოთხოვნლება აქვთ და მუდმივად ცდიან საკუთარ სხეულს, რათა მისი მართვა ისწავლონ. საქანელაზე ქანაობა, სირბილი, ხტომა, ველოსიპედით სეირნობა, სრიალი თუ კედელზე აძვრომა მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომლებიც თანმიმდევრულ მოძრაობას ავარჯიშებს. სამწუხაროდ, ბევრი ბავშვი შინ არასაკმარისად მოძრაობს, მაშინ მათ საბავშვო ბაღში ენერგიისაგან დასაცლელად ყოველდღიურად დიდი დრო სჭირდებათ. გარდა ამისა, შენობის გარეთ, ღია ცის ქვეშ, ბუნების კანონების აღმოჩენა და წელიწადის დროების თავისებურებათა განცდაა შესაძლებელი.

შეგრძნებათა თვალსაზრისით, ქვიშაში თამაშიც მეტად სასარგებლოა პატარებისთვის; შეიძლება ააშენო, გათხარო, ექსპერიმენტები ჩაატარო და, რაც ყველაზე მთავარია, შეიძლება გაჭუჭყიანდე კიდეც.

თამაშისა და სწავლის სრულყოფისთვის ბავშვებს დასვენების ფაზებიც სჭირდებათ, როდესაც ისინი ნასწავლს იაზრებენ და მომდევნო აქტივობებისთვის ძალებსაც იკრებენ.

დიორთე ჰეხლერი

დიპლომირებული პედაგოგი,
მოსამზადებელი ჯგუფის აღმზრდელი

თამაში საბავშვო ბაღში

სკოლა 03

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

I კლასი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ანდრია გოგიჩაიშვილი, კასიანა გერბერ, ანაის ბიდნერ, ერიკ-ლეო სტელმაშჩუკ, ქალბატონი ნისენ

მომდევნო რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

გიორგი ოდიკაძე, ნიკოლოზ კალანდაძე, დანიელ მერგელ

მომდევნო რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ილია ხარძიანი, მიკა ტერნეს, მონტა მჭედლიშვილი, ანასტასია მეგრელიშვილი, იულია ვაიგელ, თეო პალომარ

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ლილე ჰეტ, ნინო შავდია, თეოდორ კრისტოფ, ვერონიკა გობრილ, ანასტასია ხუციშვილი, თინათინ შავდია

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

II კლასი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ქალბატონი მაქსიმენკა, რეზი ჩახვაშვილი, ვახტანგ თორდია, ანდრია გაბედავა, ალექსანდრე ლაკერბაია, ალექსანდრე ზარანდია, ტამერლან სულეიმანოვ

შუა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ელი ჩახვაშვილი, სესილი შენგელია, ანინა ჩიქოვანი, ბარბარე მაჭავარიანი, ბეატრიქს ორთ, ანასტასია ფრანცენ, ნიკოლას ბურდული, ანტონ სევასტიანოვ, თამარ გრიგალაშვილი, თათული თორდია

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნატალია ჩხეიძე, ლილი შტერნ, კირა ანდრონიკაშვილი, ირინა ანდრონიკაშვილი, ჰანს აულკემაიერ

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

III კლასი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნიკოლოზ ვეკუა, ნოდარ დავითაშვილი, მილენა გორდეევა, ნიკოლოზ ბიწაძე, ირინა პოტაპენკო, ელენე ხუციშვილი, კონსტანტინ ვებერ-ჩუბაის, ქალბატონი აბაშიძე

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნიკოლოზ ლაითაძე, ტიციან გერბერ, თორნიკე იმერლიშვილი, კლიმ გომელიაკო

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

IV კლასი

სულ ზემოთ:

ქალბატონი მჭედლიშვილი

ზედა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ფილიპ თვაური, მათეო რეხტშტაინერ, მარიამ რატიანი, სალომე ლაკერბაია, მირა გინსბურგ

შუა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ლუკა კინწურაშვილი, დანიელ თარი, ნიკოლას ღულუნიშვილი, ვიკტორია ჯიქია, მარიამ შალიკიანი, გიორგი ინგოროყვა, ანდრია ბათლიძე, ვაიოლეტ ორთ

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ლუკა სვანაძე, სოფი ოქრიაშვილი, ნატალი გობრილ, ანა-სოფია გრიუნბერგ, სოფი კაჭკაჭიშვილი, კონსტანტინე შარვაშიძე

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

V კლასი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

თომას ვოზენ, ლუკა ჩიკვილაძე, ანტონ ქართველიშვილი

მომდევნო რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ქალბატონი ბრემ, ლუკა მერგელ, მილანა პოტაპენკო, ბეჟან ბარდაველიძე, ნიკა იმერლიშვილი, დემეტრე იმედაძე

მომდევნო რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ალექსეი ქნაუბ, მარიამ ზარანდია, ანასტასია რატიანი, ბირუტა ოდიკაძე, მაია ჰეხლერ, მელისა ბესკარდეს

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

პაპუნა ჯავახაძე, დანიზ გულიევა, შარლოტა როზინ, ნინო ლორთქიფანიძე, ინარა გულიევა, მარლენე კამერერ

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

VI კლასი

მარცხნიდან მარჯვნივ:

ლუკა ცირეკიძე, ალექსანდრე ბუცხრიკიძე, კონსტანტინ მასხულია, ქალბატონი კაჭახიძე, ლიზა-ამელი გრიუნბერგ, სალომე როილ, ნანი რიომერი, თათია ნიკოლაიშვილი, ნიკიტა მალიკოვა, გრიგოლ გოდაბრელიძე, ნიკოლოზ გრიგალაშვილი, დანიელ ნიკიშ, ლაშა ლაკერბაია

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

VII კლასი

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

მიხაელ ხაჩიძე, ლინო ლისტა, ქრისტინა კაჭკაჭიშვილი, კატარინა ქარაზანიშვილი, კონსტანტინ გერბერ, გიორგი ნიკოლაიშვილი, ნუცა ნიკოლაიშვილი

შუა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ქალბატონი გოლკოვსკი, მაგდალენა ნიგურიანი, ელისაბედ დარჩია, იანომ ტოივო ლიბიჰ, პეტერ აულკემაიერ, მარკ თვაური,იულია ჰეხლერ

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

დავიდ-საბა გაგნიძე, დავიდ ნოიმან

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

VIII კლასი

მარცხნიდან მარჯვნივ:

ანდრია იმედაძე, დავით ნებიერიძე, ალექსანდრე სტადნიცკი, ჯაკომო ფრიბე, ანდრეი კნაუბ, ბექა მეგრელიშვილი, ლიზი ბიწაძე, ანუკა ნიკიშ, ბატონი კადნერ, ელენა როილ, ლიზი კინწურაშვილი,

ეს ჩვენ ვართ - სკოლა

IX კლასი

მარცნიდან მარჯვნივ:

იოზეფ აულკემაიერ, ლაზარე გულორდავა, ლუკა ბიწაძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ლუკა ტერნეს, ევა ვოლდოჩინსკაია, ნატალია ჩაჩანიძე, დეია მარი კლაფ, ნატალი დიკმან, ელენე მაზიაშვილი, ქალბატონი ლიბიჰ

WIR SIND DIE SCHULE!

ჩვენი კოლეგია

უკანა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ნინო აბაშიძე, იუდიტ ფაუსტ, კატრინ ბრემ, ვენკე ნისენ, იულია ლიბიჰ, თომას შრიოდერ-კლემენტა, თამარ კაჭახიძე, იოჰანა პრაისლერ, ნათია თევზაძე

წინა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

ვინეტა მჭედლიშვილი, ქრისტიანე დამან, ვიკტორია მაკსიმენკა, სტეფანი გოლკოვსკი, ბელა არაბული, ელისო ბიბილაშვილი

იმო კადნერი

თომას ლიბიჰი

დოქტ. ნაზიბროლა ანდღულაძე

პროფ. დოქტ. რევაზ კორაშვილი

ლიზა აქუბარდია

გიორგი ლეჟავა

ინგა ძიძიგური

ეკატერინე ვაჩნაძე-ბუაძე

ქეთევან გოგოლაძე

ქრისტინე კაკაბაძე

აკაკი ინანიშვილი

ირაკლი შერმაზანაშვილი

ამ სასწავლო წელს
2018-2019 სასწავლო წელს ჩვენს სკოლაში 1-ლიდან მე-9 კლასის ჩათვლით სულ 145 ბავშვი ირიცხებოდა. ვუმასპინძლეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ქვეყნიდანაც.

Deutsche Internationale Schule Tbilissi

მოსამზადებელი ჯგუფიდან დაწყებით სკოლაში გადასვლის პროცესის შესახებ

ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის პროცესი, ე. წ. გარდამავალი ეტაპი, ზოგადი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

თუ აღნიშნული პროცესი წარმატებით განხორციელდა, მაშინ ის დადებითად აისახება არა მხოლოდ ბავშვის ზოგად განვითარებაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში, მის მიერ წინ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების წინაპირობაც გახდება. ადრეულ ასაკშივე გარდამავალი ეტაპების წარმატებით დაძლევა ზრდის შანსს, რომ შემდგომი ეტაპებიც შიშისა და სტრესის გარეშე ჩაივლის.

სწორედ გარდამავალი ეტაპის, კერძოდ კი ჩვენი აღსაზრდელებისთვის მოსამზადებელი ჯგუფიდან პირველ კლასში გადასვლის, გასაადვილებლად მოსამზადებელი ჯგუფისა და დაწყებითი სკოლის პედაგოგთა გუნდი, ე.წ. „გარდამავალ ეტაპზე პასუხიმგებელი გუნდი“, სხვადსხვა საკითხში მჭიდროდ თანამშრომლობს. ეს საკითხებია:

- პროფესიული გამოცდილების რეგულარულად გაზიარება
- მოსამზადებელი ჯგუფის აღსაზრდელების მშობლებთან ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრა
- მოსამზადებელი ჯგუფის აღსაზრდელების განვითარების დონეზე დაკვირვება
- კონსულტაციები მშობლებთან მათი შვილების სკოლაში მიღების თაობაზე

ჩვენი თანამშრომლობა მხოლოდ ამ საკითხებით არ შემოიფარგლება, ის სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებასაც მოიაზრებს. მაგალითად, მოსამზადებელი ჯგუფის აღსაზრდელები პირველკლასელებთან ერთად ყოველწლიურად წინასასკოლო პროექტ „სკოლის“ ფარგლებში მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობენ. სპორტის ზეიმი, ერთობლივი დღესასწაულები, ერთმანეთთან სტუმრობა და ა.შ. უკვე ტრადიციად ქცეული ლამაზი ღონისძიებებია. გარდა ამისა, ჩვენი სპორტისა და მუსიკის პედაგოგები გაკვეთილებს მოსამზადებელ ჯგუფშიც ატარებენ.

მოსამზადებელ ჯგუფსა და დაწყებით სკოლას შორის ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა არა მხოლოდ ჩვენი სასკოლო ცხოვრებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ საგანმანათლებლო სისტემების (საბავშვო ბაღი და სკოლა) ჰარმონიული ინტეგრირებისთვისაც უმთავრესია. ამ თანამშრომლობას გერმანული საერთაშორისო სკოლა საჯაროდ წარმოაჩენს და ის მოსწავლეთა მშობლებსა და ოჯახებთან გამჭვირვალე კომუნიკაციაში ვლინდება.

ნინო აბაშიძე

სკოლის დირექტორის მოადგილე

მოსამზადებელი ჯგუფიდან დაწყებით სკოლაში

ჩვენი სკოლის ატესტატები

ხანგრძლივი ტრადიციის მქონე საერთაშორისო სკოლებში ამ სტრიქონების დაწერა არ მომიწევდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ყველა მშობელსა და მოსწავლეს სურს გაიგოს, თუ რა ატესტატს გასცემს ჩვენი სკოლა და, უპირველეს ყოვლისა, როგორ ხდება ეს.

შემაჯამებელი კოლოკვიუმები მე-9 და მე-10 კლასებში „საშუალო საფეხურის ატესტატის“ მოსაპოვებლად

თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში მე-9/მე-10 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ შემდეგი ატესტატები და უფლებამოსილებანი მოიპოვონ:

- მე-9 კლასში სასწავლო წლის ბოლოს საბაზო საფეხურის ატესტატი
- მე-10 კლასში სასწავლო წლის ბოლოს საშუალო საფეხურის ატესტატი
- მე-10 კლასში სასწავლო წლის ბოლოს გიმნაზიის მაღალი კლასების საფეხურზე (უმაღლესი საკვალიფიკაციო საფეხური) გადასვლის უფლება, რაც საშუალო საფეხურის ატესტატსაც მოიაზრებს.

რადგანაც ახლანდელ მე-9 კლასში საბაზო საფეხურით სკოლას არავინ ასრულებს, 2019 წელს ეს ატესტატი არც გაიცემა. მომავალ სასწავლო წელს, სავარაუდოდ, არც საშუალო საფეხურის ატესტატის გამოცდა იგეგმება, არამედ პირდაპირ გიმნაზიის მაღალი კლასების საფეხურზე გადასასვლელ გამოცდას ჩავატარებთ. ეს, ამავდროულად, საშუალო საფეხურის ატესტატსაც გულისხმობს.

ჩვენი მომავალი მე-10 კლასის მოსწავლეებმა 3 წერითი გამოცდა უნდა ჩააბარონ, შემაჯამებელი კოლოკვიუმების (შკ - ZKA) სახით: გარკვეულ რეგიონებში ყველა მოსწავლემ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში 3 საგანში ერთი და იგივე დავალებები უნდა შეასრულოს, კერძოდ:

გერმანული ენა:	2020 წ. 9 მარტს
ინგლისური ენა:	2020 წ. 10 მარტს
მათემატიკა:	2020 წ. 12 მარტს

მოსწავლის ავადმყოფობის შემთხვევაში მისთვის განმეორებითი გამოცდის დღე ინიშნება. გამოცდა მინიმუმ ერთი ზეპირი გამოცდით სრულდება. ამასთან დაკავშირებით ჩვენს სკოლას გამოცდების საკითხებზე პასუხისმგებელი, ქალბატონი ფოსრბომი, ეწვევა.

ჩვენო ძვირფასო მეცხრეკლასელებო: ჩინარა, დეა, ელენე, ევა, ნატალი, ალექსანდრე, ლაზარე, ლუკა და ლუკა, ახლავე მინდა გისურვოთ მომავალი სასწავლო წლის გამოცდების წარმატებით ჩაბარება!

2022 წელს გერმანული საერთაშორისო ატესტატისკენ (გსა - DIA) მიმავალ გზაზე

2022 წელს თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა თავის ისტორიაში სკოლის ატესტატებს პირველად გასცემს. რა არის გერმანული საერთაშორისო სკოლის ატესტატი? ახსნას არ გავართულებ - გამოცდის დებულება და ინსტრუქციები 100 გვერდს მოიცავს. ამიტომაც ყველაზე მნიშვნელოვანზე შევჩერდები

გსა - DIA სასკოლო ატესტატია, რომელიც გერმანიაში, ევროპასა და მრავალ სხვა ქვეყანაში, როგორიცაა მაგ. აშშ, უმაღლესი განათლების მიღების უფლებას იძლევა. წერით ნაწილს რეგიონული გამოცდის სახე აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რეგიონის სკოლები (მაგ. ბელგრადის, ბუდაპეშტის) ერთსა და იმავე გამოცდას დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში, სავარაუდოდ, 2022 წლის თებერვალში, დაწერენ.

მოსწავლემ უნდა ჩააბაროს **სამი წერითი გამოცდა:**

- პირველი საგანი **გერმანული ენაა.**
- მეორე საგანი არჩევითია: **მათემატიკა, ქართული ენა, ინგლისური ან ფრანგული ენა**
- მესამე საგამოცდო საგანი შეიძლება იყოს წინა პუნქტში ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი: **ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია ან ისტორია.**

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერითი გამოცდის საგნის არჩევაში ყოველწლიურად გარკვეული შეზღუდვა იარსებებს იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად იმ წლისთვის რა მოთხოვნა იქნება.

მეოთხე და მეხუთე გამოცდა ზეპირია. ზემოთ ჩამოთვლილი საგნების გარდა, შესაძლოა მოსწავლეებმა ჩააბარონ **მუსიკა ან ეთიკა.** მთლიანობაში არ შეიძლება ერთი საგანი განმეორდეს. ქვემოთ ჩამოთვლილი სამი თემატური ველი მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა შეივსოს:

1. ენა-ლიტერატურა-ხელოვნების თემატური ველი („გერმენული ენით“ უკვე ივსება)
2. საზოგადოებრივი მეცნიერებების თემატური ველი (ისტორია ან ეთიკა)
3. მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო-ტექნიკური თემატური ველი (მაგ. მათემატიკა)

რა თქმა უნდა, კიდევ არსებობს მთელი რიგი წესებისა, რომელთა განხილვაც ახლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგადი ინფორმირებულობისთვის, ვფიქრობ, ესეც საკმარისია.

თომას შრიოდერ-კლემენტა

სკოლის დირექტორი

რას წარმოადგენს „გერმანიის ფედერალური მიწების განათლების ხარისხის მონიტორინგი“ (BLI)?

BLI საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლებისთვის დიდი ხანია ნაცნობია, რაც იმას გულისხმობს, რომ საზღვარგარეთ არსებულ ყოველ სკოლაში რეგულარულად, დროის თანაბარ მონაკვეთებში უნდა ჩატარდეს მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფი დაკომპლექტებულია გამოცდილი ინსპექტორებით, რომლებიც საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების მთავარი სამმართველოსა და გერმანიის ფედერალური მიწების კულტურისა და განათლების მინისტრთა საბჭოს დავალებით აფასებენ თითოეული სკოლის საქმიანობას. მაშასადამე, „მონიტორინგში“ „გაცნობა“ იგულისხმება. ინსპექტორებს საზღვარგარეთ არსებული კონკრეტული გერმანული სკოლის მუშაობის გაცნობა სურთ.

ამასობაში საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლები უფრო მეტ პასუხისმგებლობას ტვირთულობენ და საკუთარი სასკოლო მუშაობის უკეთ წარმართვის მეტი შესაძლებლობაც აქვთ. იმისათვის, რომ მათ გარკვეული ხარისხობრივი სტანდარტები დააკმაყოფილონ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხომ სოლიდურ საბიუჯეტო ხარჯებს გაიღებს საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლებისთვის, შეიქმნა ე.წ. „განათლების ხარისხის მართვა“ (PQM), რომელმაც საზღვარგარეთ არსებული სკოლების მუშაობის სტანდარტთან შესაბამისობა და ხარისხი უნდა განსაზღვროს და შეაფასოს. გერმანიის ფედერალური მიწების განათლების ხარისხის მონიტორინგის მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად შესაბამისი იმპულსების მიცემაა.

ჩვენს თბილისის საერთაშორისო გერმანულ სკოლას მონიტორინგის გუნდი სავარაუდოდ 2019 წლის დეკემბერში ეწვევა. ამ ვიზიტისთვის ჩვენ უკვე დიდი ხანია ვემზადებით: მიმდინარე სასწავლო წელს შევქმენით საკონტროლო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ატარებს სხდომებს და ხარისხის პროცესს მართავს. მომავალ სასწავლო წელს საკონტროლო ჯგუფს სხვა წევრებიც შეემატებიან, კერძოდ: მოსწავლეები, მშობლები და მმართველობა.

2019 წლის მარტში „Peer review'' („კრიტიკული მეგობრების“) ვიზიტი ჩვენთვის მონიტორინგის წინა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი საფეხური იყო, რომელმაც კარგად ჩაიარა. რადგან მონიტორინგის გუნდი ჩვენი სკოლის მონაცემებითა და საბუთებითაა დაინტერესებული, დოკუმენტებს, მაგალითად სკოლის წესდებას, თავიდან ვამუშავებთ, ამასთან, ახალ კონცეფციებსაც შევიმუშავებთ, როგორიცაა სკოლის მისია.

გერმანიის ფედერალური მიწების განათლების ხარისხის მონიტორინგი ერთ სრულ კვირას მოიცავს. ინსპექტორები გაკვეთილებს დაესწრებიან. ამ დროს ცალკეულ პედაგოგთა მუშაობა კი არ უნდა შეფასდეს, არამედ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება: „საერთო ჯამში თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ამგვარად მიმდინარეობს!“

საბოლოოდ ინსპექტორთა გუნდი მონიტორინგის შედეგებს სკოლის საზოგადოებას დეკემბერში ზეპირად მოახსენებს. ეს იქნება ღონისძიება, რომელზედაც ქალბატონი შტეფანი დროლი, რომელიც დირექტორის თანამდებობაზე შემცვლის, მოგიწვევთ ყველას: მოსწავლეებს, მშობლებს, თანამშრომლებს, მასწავლებლებსა და მმართველობას. ბოლოს მივიღებთ წერილობით ანგარიშს, სადაც გამოჩნდება, როგორც ჩვენი დადებითი მხარეები, ასევე ის გარემოებებიც, ბოლომდე დამაჯერებელი რომ ვერ გამოდგა, რადგანაც არ არსებობს ისეთი რამ, რისი გაუმჯობესებაც არ შეიძლებოდეს!

ყველა მონაწილეს უღრმესი მადლობა იმისთვის, რომ ჩვენი პატარა შესანიშნავი სკოლისთვის ძალებს არ იშურებთ!

თომას შრიოდერ-კლემენტა

სკოლის დირექტორი

feedback

„განათლების ხარისხის მართვა“ და ჩვენი საკოორდინაციო ჯგუფი

რას ნიშნავს კარგი სკოლა? ეს, ერთი შეხედვით, მარტივი კითხვა საფუძველია განათლების ხარისხის მართვის (გხმ – PQM) ცნებისა.

კარგ სკოლაში სწავლის ეფექტური პროცესია დანერგილი, მოსწავლეები და მასწავლებლები საკუთარ თავს აიგივებენ სკოლასთან, სადაც ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებას აქტიურად წარმართავენ. განათლების ხარისხის მართვის ამოცანაა, ამ მიმართულებით სკოლის განვითარება უზრუნველყოს. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა, როგორც 140 გერმანულ საერთაშოსრისო სკოლათაგან ერთ–ერთი, ვალდებულია, შეესაბამებოდეს „გერმანიის ფედერაციასა და საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების ხარისხის ჩარჩოს“, რომელიც შიდა და გარე შეფასებებისას სტანდარტად განიხილება. ხარისხის ამ ჩარჩოზე მოსარგებად 2018/2019 სასწავლო წელს ჩვენს სკოლაში PQM–ჯგუფი, სხვაგვარად საკოორდინაციო ჯგუფი, დაარსდა, რომელიც სკოლის ამ მიმართულებით განვითარებას მართავს, მასში მონაწილეობს და შესაბამის პროცესებს აფასებს.

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ საკუთარი თავი, როგორც თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის PQM–ის წარმომადგენელმა და საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა. სკოლის საკოორდინაციო ჯგუფი ამჟამად შედგება სკოლის დირექციის, დაწყებითი სკოლისა და საბაზო საფეხურის მასწავლებლებისა და გერმანული ენის პროფესიული სწავლების წარმომადგენლებისგან. შემდეგი სასწავლო წლისათვის საკოორდინაციო ჯგუფის გაფართოებაა დაგეგმილი: ჩვენს მუშაობაში ჩაერთვებიან მოსწავლეები, ერთი წარმომადგენელი მშობელთაგან და ერთი წევრიც გამგეობიდან.

ჩვენი სხდომები ყოველკვირეულად ტარდება. ბუდაპეშტში მიმდინარე რეგიონული საკვალიფიკაციო კურსების ფარგლებში მე რეგულარულად ვიმაღლებ პროფესიულ დონეს. თანაც, ჩვენს მუშაობაში ძალიან გვეხმარება საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების მთავარი სამმართველოს მიერ წარმოგზავნილი წარმომადგენელი. ამგვარად, საკოორდინაციო ჯგუფს სკოლის განვითარების პროცესის პროფესიონალური ორგანიზების საშუალება ეძლევა. საკოორდინაციო ჯგუფის მიერ განვითარებისთვის შემუშავებული ღონისძიებები პროექტების სახითაა ჩამოყალიბებული და ვადების ჩარჩოებშია მოქცეული, შედეგებს სხდომებზე განვიხილავთ და ვაფასებთ.

ინოვაციის სახით დანერგილი საკოორდინაციო ჯგუფი ჩვენს სულ ახალგაზრდა სკოლაში მრავალ ამოცანას უნდა გამკლავებოდა. ჯგუფის ყველა წევრი დასაწყისში ისეთ მდგომარეობაში იყო, თითქოს ყამირზე შედგა ფეხი და უამრავი პრობლემური საკითხის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, (ჯერ) ყველა საკითხი არ გადაწყვეტილა, მაგრამ საკოორდინაციო ჯგუფის პირველი წლის მუშაობით კმაყოფილი ვართ.

2019 წლის დეკემბერში სკოლაში პირველად ველით საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლებისთვის ფედერალური მიწების ინსპექციას. საკოორდინაციო ჯგუფს ამ ინსპექციის ვიზიტის მომზადება და კოორდინაცია დაევალა.

ამ სასწავლო წელს მასწავლებლებისათვის სკოლის შიდა საკვალიფიკაციო კურსები ჩატარდა შემდეგ თემებზე: „გერმანულენოვანი პროფესიული სწავლება“ და „კოოპერაციული სწავლება“. ჩვენი კოლეგიალური ჰოსპიტაციები - გაკვეთილებზე დასწრება - ხელს შეგვიწყობს იმაში, რომ საკვალიფიკაციო კურსებზე შესწავლილი პრაქტიკაში გამოვიყენოთ.

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს მოტივირებულ კოლეგებს ამ სასწავლო წელს გაწეული თანამშრომლობისათვის!

ვინეტა მჭედლიშვილი

„განათლების ხარისხის მართვის“
საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი

შიდასასკოლო ტრენინგი

საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება

გერმანული ენის სწავლების ხელშეწყობა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ცნებები, როგორებიცაა: „ენის სწავლების ხელშეწყობა“, „გერმანულენოვანი საგნობრივი სწავლა“ (DFU), „საგნისა და ენის ინტეგრირებული გაკვეთილი“, სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა ჩვენი სკოლის განვითარების ფოკუსში.

მაგრამ რას ნიშნავს „საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება“? რომელ კლასებსა და საგნებში ვთავაზობთ ამას? ყველა მოსწავლისთვისაა თანაბრად მნიშვნელოვანი? რა გრძელვადიან მიზანს ისახავს ჩვენი სკოლა საგნისა და ენის სწავლებით?

საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება ენას აზროვნებისა და კომუნიკაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აღიქვამს. ენისა და საგნების სწავლა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და აქტუალურია ყველა საგანში, სასკოლო განათლების ნებისმიერ საფეხურზე. მათემატიკის, ისტორიისა თუ მუსიკის თითოეული გაკვეთილი ამავდროულად გერმანული ენის გაკვეთილსაც წარმოადგენს. ეს ფენომენი განსაკუთრებით საერთაშორისო სკოლებში გვხვდება, სადაც მოსწავლეებისთვის სასწავლო ენა ხშირად მშობლიური ენა არ არის და ისინი უცხოენოვან გარემოში სხვადასხვა ენაზე იზრდებიან და ვითარდებიან.

ჩვენს სკოლაში სწავლისას ბავშვი იძენს ენობრივ, საგნობრივ და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს. საგნის გაკვეთილებზე ისინი სულ უფრო ხშირად ასრულებენ სხვადასხვა ენობრივ ქმედებას, როგორებიცაა მაგ: გრაფიკებისა და დიაგრამების ახსნა, საგნობრივი ტექსტიდან ძირითადი შინაარის გამოტანა, რეფერატებისა და პროექტების წარდგენა, ექსპერიმენტების აღწერა, ცდების ოქმების შედგენა და ა.შ.

იმისთვის, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა ეს მოთხოვნები წარმატებით შეასრულონ, საგნის სწავლებას ენის სწავლება უნდა დაუკავშირდეს.

ამისათვის მოსწავლეებს გაკვეთილზე მრავალგვარ ენობრივ დახმარებას ე.წ. ხარაჩოებს ვთავაზობთ (მაგ. ფუნქციური ფრაზები, სიტყვათა ჩამონათვალი, თვალსაჩინოებები), განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციფიკური ტერმინებისა და საგნობრივი ლექსიკის ახსნას, კითხვის სტრატეგიების გაცნობას. ამგვარად, მოსწავლეები გერმანულ ენას, როგორც ყველა საგნის სასწავლო ენას, მუდმივად სწავლობენ და ხვეწენ.

რამდენად რელევანტურია მსგავსი გაკვეთილი მათთვის, ვისთვისაც გერმანული მშობლიური ენაა?

ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად დადებითია, რადგანაც საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება იმგვარი აკადემიური ენის დაუფლებას უწყობს ხელს, რომელიც სხვადასხვა საგანში კომპლექსური დავალებების დაძლევისთვისაა აუცილებელი. მოსწავლეებსაც, რომლებისთვისაც გერმანული ენა მშობლიურია, ესაჭიროებათ ამ სფეროში განვითარება და ხელშეწყობა.

რა გამოწვევებს ქმნის საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება მასწავლებლებისთვის?

ენობრივ ასპექტში ხელშეწყობა ყველა საგნის ამოცანაა, თუმცა საგნების მასწავლებლებისთვის ეს ხშირად დიდი გამოწვევაა, რადგანაც „ერთი მხრივ, საგნის მასწავლებელი ერთ კონკრეტულ საგანს ასწავლის და არა გერმანულ ენას. მეორე მხრივ, ენის გარეშე საგნის შესწავლაც ვერ ხერხდება, რადგანაც საგნის სწავლება თუ შესწავლა მხოლოდ ენის საშუალებითაა შესაძლებელი“. (Leisen, Handbuch Sprachförderung im Fach).

იმისათვის, რომ საგნის მასწავლებლები ენისა და საგნის სწავლებისა და სწავლის მეთოდებს გაეცნონ, მათთვის წელიწადში ორჯერ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს ვაწყობთ. წელს ჩვენმა პედაგოგებმა ინტენსიურად იმუშავეს თემაზე „დარგობრივ ტექსტებთან მუშაობა საგნის გაკვეთილზე“.

რა გრძელვადიან მიზნებს ისახავს გერმანული საერთაშორისო სკოლა საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლებით?

საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მთავარი მიზანია, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა შეძლონ ფუნდამენტური საგნობრივი ცოდნის ბაზაზე უმაღლესი განათლების ეფექტურად

დაშენება და მოგვიანებით მრავალწლიანი პროფესიული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავება. მათ უნდა შეძლონ აკადემიური ტექსტებიდან თუ წიგნებიდან ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, პროფესიული საუბრების გერმანულად წარმართვა და გერმანულენოვან პარტნიორებთან თანამშრომლობა.

ამ უნარების განვითარებაა იმის წინაპირობა, რომ ჩვენი მოსწავლეები პროფესიულად წარმატებულ და სოციალურად ინტეგრირებულ ზრდასრულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ და ჩვენ, სწორედ ამ უნარების განვითარების გზით, გვსურს ჩვენი მოსწავლეების თანხლება და მხარდაჭერა.

თამარ კაჭახიძე

„საგნისა და გერმანული ენის ინტეგრირებული სწავლების“ კათედრის ხელმძღვანელი

ჩვენი მოგზაურობა ჰამბურგში

ელენა როილის, ლიზი კინწურაშვილის, ლიზი ბიწაძისა და ანუკა ნიკიშის დღიური ანგარიში

ორშაბათი, 20.05.2019

დაახლოებით 13.30 ჰამბურგში ჩამოვედით და იქვე შევხვდით ჩვენი მასპინძელი სკოლის მოსწავლეებს. ერთმანეთი გავიცანით და პიცა მივირთვით. შემდეგ მასპინძელმა ოჯახებმა მოგვაკითხეს და „შინ“ გავემართეთ.

სამშაბათი, 21.05.2019

დილით სკოლაში წავედით. სკოლა ძალიან დიდია და სიმწვანეშია ჩაფლული. გაკვეთილების შემდეგ ჰამბურგში ექსკურსია მოეწყო.ისლამაზიდასაკმაოდმოწესრიგებული ქალაქია. ელბის ფილარმონია მოვინახულეთ. ქალაქსა და ჰამბურგის პორტზე ზემოდან ძალიან ლამაზი ხედი იშლებოდა.

ოთხშაბათი, 22.05.2019

ოთხშაბათს ისევ სკოლაში წავედით და გაკვეთილების მერე თავისუფალი დრო გვქონდა, რაც უმრავლესობამ მაღაზიებში სასეირნოდ და სადილის მისართმევად გამოიყენა.

ხუთშაბათი, 23.05.2019

დილით ადრე ავდექით და ექსკურსიაზე წავედი ბერლინში. იქ ბერლინის კედლის ნარჩენები ვნახეთ, რაიხსტაგის გუმბათში ვიყავით და კიდევ დაგვრჩა თავისუფალი დრო სასეირნოდ.

ამ დღეს შინ ძალიან გვიან დავბრუნდით.

პარასკევი, 24.05.2019

ისევ სკოლაში წავედით და იქ, ალსტერის გასწვრივ, ველოტური გავმართეთ საპსერფინგის მოსასინჯად. ველოტურის დროს გარკვეული პრობლემები შეიქმნა, რადგანაც ყველას სხვადასხვაგვარი სიჩქარით შეეძლო ველოსიპედის მართვა. საპსერფინგმა მხიარულად ჩაიარა, თითქმის ყველანი წყალში ჩავცვივდით.

შაბათი, 25.05.2019

შაბათს თავისუფალი დრო გვქონდა ჩვენს მასპინძელ ოჯახებში და ძალიან ვისიამოვნეთ სრულიად სხვადასხვა სახის აქტივობებით.

კვირა, 26.05.2019

17.30 გამოსამშვიდობებელი ზეიმი გაიმართა, რომელზედაც კვირის ფოტოები წარმოვადგინეთ. ამის გარდა, შვედური მაგიდაც იყო.

ორშაბათი, 27.05.2019

ორშაბათს, 7.20, კვლავ თბილისში გამოვფრინდით.


I ♥ TBILISI

სიახლე ჩვენს სკოლაში: პროფესიული პრაქტიკა

ამ სასწავლო წელს ჩვენი მეცხრეკლასელები სასწავლო წლის ბოლო კვირას საწარმოო პრაქტიკას გაივლიან თბილისის ერთ-ერთ გერმანულ ან ინგლისურენოვან საწარმოში. ეს კვირა და მასთან დაკავშირებული მოსამზადებელი ფაზა პროფესიული ცხოვრებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება და, იმედია, მოსწავლეებს შემდგომში მიზანმიმართული სწავლის მოტივაციას მისცემს.

ამ პრაქტიკის მიზნები ჩვენი სკოლის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ამოცანებიდან მომდინარეობს: პრაქტიკამ სამაგალითოდ უნდა ჩაახედოს მოსწავლეები შრომით, პროფესიულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, საწარმოო პრაქტიკის გავლისას მიღებული გამოცდილება მოსწავლეებს პროფესიის კრიტიკულ არჩევანში დაეხმარება. ამ დროს ისინი კონკრეტულ სფეროში სამუშაო პირობებში საკუთარ მიდრეკილებებს, შესაძლებლოებებსა და უნარებს ამოწმებენ და ერთობლივი მუშაობითა და დაკვირვებით შრომითი ცხოვრების დაძაბულობასა და დატვირთულობას თავად გამოცდიან.

ჩვენ ეს პრაქტიკა გერმანულის გაკვეთილებზე მოვამზადეთ: დავფიქრდით, ვის რა ინტერესები და ძლიერი მხარეები აქვს, ვის რა პროფესიული მიზნები ამოძრავებს. მას შემდეგ, რაც ბატონი კიმესვენგერი, გერმანული ეკონომიკური გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი, რამდენჯერმე ეწვია ჩვენს სკოლას, დაწვრილებითი კონსულტაცია გაგვიწია და პრაქტიკის განხორციელების ადგილების მოპოვებაში დაგვეხმარა, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად პატარა კვლევა ჩაატარეს დაწესებულებებზე, რომლებიც პრაქტიკის შესაძლო ადგილებად მოიაზრებოდა. ისინი დიდი სიბეჯითით ადგენდნენ ავტობიოგრაფიებსა და თანდართულ წერილებს. ამის შემდეგ მოვემზადეთ ინტერვიუს წარმატებით ჩასატარებლად და პროფესიული სატელეფონო დიალოგის გასამართად.

ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლისას, მაგ: სასტუმროში, ჰაიდელბერგის ცემენტის ქარხანასა თუ სტომატოლოგიურ კლინიკაში, მოსწავლეები ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სახეს უნდა შეეხონ და შეძლებისდაგვარად აქტიურად გაწიონ ასისტირება, რათა მათ შრომით სამყაროზე დადებითი წარმოდგენა შეექმნათ. პრაქტიკის დროს მოსწავლეებს ჩემთან ექნებათ კონტაქტი და მე თითოჯერ ყველას მოვინახულებ.

პრაქტიკის გავლისას, ასევე საზაფხულო არდადეგებზე მოსწავლეები გაამზადებენ პრაქტიკის საქაღალდეს, რომელშიც მაქსიმალურად დაწვრილებით აღწერენ თავიანთ გამოცდილებას პრაქტიკის ფარგლებში და დაასახელებენ ერთ პროფესიას, რომელსაც, სავარაუდოდ, მომავალში აირჩევენ.

იულია ლიბიჰი

პროფესიული პრაქტიკის კოორდინატორი

VISAS
TOURS
TRANSFERS
INSURANCE

გეოგრაფიული ექსკურსიები - თვალსაწიერის გაფართოება

გერმანული საერთაშორისო სკოლის ერთ-ერთი მოთხოვნა გერმანული სასწავლო პროგრამის მოთხოვნების მიყოლაა, თუმცა კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სკოლა რომ ამ ვალდებულებას ზედმიწევნით ასრულებს, ყველაზე კარგად გეოგრაფიის საგნის სწავლებისას ჩანს: როდესაც გაკვეთილზე ისეთ გეოგრაფიულ ფენომენზეა საუბარი, რომელიც სახელმძღვანელოში თვალსაჩინოებისათვის გერმანიის მაგალითებით ილუსტრირდება, პრობლემაც იჩენს თავს, რადგან აღნიშნული ჩვენი ბავშვების საცხოვრებელ არეალს ძალზეა მოშორებული.

ამასთან, საქართველოში უამრავი ადგილია, სადაც ძველ დროში დედამიწის ზედაპირზე გარკვეული ძალები მოქმედებდნენ და დატოვეს კიდეც საკუთარი შთამბეჭდავი ნაკვალევი. ამ ფაქტის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება და ამიტომაც ყოველწლიურად კლასები, სასწავლო პროგრამის შესაბამისად, გეოგრაფიული ნაკვალევის საძებნელად მიდიან.

ამგვარად, ყოველწლიურად ჩვენი მეშვიდეკლასელები ორდღიან ექსკურსიას აწყობენ ჯუთაში, სადაც მყინვარისგან ფორმირებულ ხეობაში ლაშქრობისას ყინულის მასების შთამბეჭდავი ნაკვალევის ნახვა შეიძლება. გარდა ამისა, გზად უკვე ხილულ ჩამქრალ ვულკანებად ქცეულ ბაზალტის სვეტებსაც ვხვდებით.

მერვეკლასელთათვის კი, პროგრამის მიხედვით, ექსკურსია კარსტული ფორმების მარაგის თემაზე ეწყობა, რისთვისაც მოსწავლეები ორი დღით ქუთაისს სტუმრობენ. პრომეთეოსის უზარმაზარი სტალაქტიტებიანი გამოქვაბული და მარტვილის კანიონი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა ფორმები ჩნდება ქანების დაშლის შედეგად.

ექსკურსიისთვის ბავშვები წინასწარ ემზადებიან. გაკვეთილებზე მცირე ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები კონკრეტული გასვლისთვის მნიშვნელოვან თემებს ეცნობიან და ამუშავებენ. ექსკურსიაზე კი უკვე ექსპერტებად გრძნობენ თავს, როდესაც თანაკლასელებს ლანდშაფტის თავისებურებებს მოკლე რეფერატებით აცნობენ.

კარვებით ღამისთევა ჯუთაში სტუმრობისას და ნავით გასეირნება მარტვილის კანიონის ცამდე ატყორცნილ კბოდეებს შორის ჩვენი მოსწავლეებისთვის ექსკურსიებს განსაკუთრებულ მოვლენად აქცევს.

შტეფანი გოლკოვსკი

გეოგრაფიის პედაგოგი



ფარდა იხსნება! ჩვენი სკოლის თეატრი

ჩვენი თეატრალური სექცია მრავალ-ფეროვნებითა და ხალისით გამოირჩევა. ჩვენ მოძრაობითსა და ენობრივ თამაშებს ვასრულებთ, ვვარჯიშობთ ერთმანეთისთვის ყურადღების დათმობასა და ერთობლივ თამაშში, იმპროვიზაციებს ვახდენთ, ვამზადებთ პიესებს, რომელთაც ყოველწლიურად დეკემბრის სასკოლო საშობაო ზეიმსა და გაზაფხულობით გოეთეს ინსტიტუტის „წიგნის დღეზე" მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარმოვადგენთ.

თეატრალური სექცია, რომელიც 2017/2018 სასწავლო წლის დასაწყისში დაარსდა, მოსწავლეთა მხრიდან პირველივე დღიდან დიდი სიყვარულით სარგებლობს. ყოველ წარმოდგენაში მე-3-დან მე-9 კლასამდე 20-30 ბავშვი მონაწილეობს.

პიესები სულ ჩვენი მოფიქრებულია. იმპროვიზაციებიდან და მოსწავლეთა სურვილებიდან გამომდინარე ერთი კონკრე-ტული თემა იკვეთება, მაგ. სკოლა, მაგია, ან, ჩვენი აქტუალური პიესის თემა - სასკოლო ექსკურსია ტყეში. შემდეგ ვუყურებთ, რომელი ფიგურები შეესაბამება მოცემულ თემას და ბავშვები თავად წყვეტენ, მოსწავლეს განასახიერებენ, პედაგოგს, მოჩვენებას თუ ბოროტ სულს და იმასაც ადგენენ, თუ როგორი უნდა ოყოს მათი პერსონაჟი: მეგობრული, თავხედი თუ საზიზღარი.

პიესის წერას ვამთავრებთ და იწყება რთული, მაგრამ მეტად სახალისო მუშაობა ტექსტების სწავლა და აქტიური რეპეტიციები კოსტიუმებითა და რეკვიზიტით. სასიამოვნო მღელვარებითა და „სცენის ციებ-ცხელებით" გვიახლოვდება პრემიერის დღეც, რომელიც აპლოდისმენტებითა და ბავშვების ამაყი სახეებით სრულდება.

თეატრალური სექცია, ყველაფერთან ერთად, სკოლისთვისაც მნიშვნელოვანია და მოზარდთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის მეტად საჭირო მრავალ უნარს ავითარებს, თანაც ეს ხალისითა და აღფრთოვანების განცდით ხდება.

შტეფანი გოლკოვსკი

თეატრალური სექციის ხელმძღვანელი

მშობელთა საბჭოს მუშაობიდან

მოხარული ვარ, რომ ჩემი მშობელთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვადის მიწურულს გამოიცემა წელიწდეული, რომლისთვისაც მეც შემიძლია რამდენიმე სტრიქონი დავწერო.

მშობელთა საბჭომ ჩვენი სკოლის მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ურთიერთნდობაზე დამყარებული თანმშრომლობა გახადა შესაძლებელი. აღნიშნული ორგანოს საშუალებით მშობლებს შეუძლიათ თავიანთი შვილების განათლებისა და აღზრდის საკითხებში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

როდესაც ჩემს მუშაობას თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მშობელთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გერმანიის სკოლებში მშობელთა ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებას ვადარებ, ვხვდები, რომ აქ რამდენიმე განსაკუთრებული ფაქტორის წინაშე აღმოვჩნდი.

აქვე აღვნიშნავ ყველაზე განსაკუთრებულ „განსაკუთრებულობას“: საქმიანმა, ნდობაზე დამყარებულმა ურთიერთობებმა მშობლებთან, მასწავლებლებთან, დირექციასა და გამგეობასთან ჩემი მუშაობა სასიამოვნო გახადა. მეგობრული და პატივისცემით გაჯერებული ურთიერთობები ჩემთვის კარგი თანამშრომლობის თავი და ბოლოა. ჩვენი სკოლა შედარებით პატარაა, ამიტომ აქ ყველაფერი გამჭვირვალე და ხილვადია. ეს ერთმანეთთან სწრაფ შეთანხმებას აადვილებს, კომუნიკაციაც უშუალო და, ამავდროულად, ეფექტურია.

თუმცა, ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანი იყო, მშობელთა საბჭოს მთელი შემადგენლობის კონტაქტის ოპტიმიზაცია და WhatsApp-ის, Viber-ის, SMS-ის, ზეპირი კონტაქტის (ან „საერთოდ უკონტაქტობის“) ელექტრონული ფოსტის საშუალებით სანდო კომუნიკაციით ჩანაცვლება.

ჩვენი ბავშვებისთვის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში დიდ გამოწვევას წარმოადგენს პედაგოგთა პერსონალის ხშირი ცვლა. როგორც მშობელთა წარმომადგენლები, ვცდილობდით, ოჯახებს ყველა მსგავსი ცვლილების შესახებ ჰქონოდათ ინფორმაცია და ამასთან დაკავშირებით მშობელთა ყველა საზრუნავსა და სურვილზე პედაგოგთა კოლეგიასთან და სკოლის დირექციასთან მოგვეთათბირებინა. ამ სასწავლო წელს ამა თუ იმ პრობლემის წარმოჩენისას უკეთ გაცხადდა, თუ რამდენად ქმედითი შეიძლება იყოს მშობელთა შორის შეთანხმება და მშობელთა საბჭოს სწრაფი რეაგირება.

გერმანული საერთაშორისო სკოლის კიდევ ერთი გამოწვევა კულტურული განსხვავებების გათვალისწინება და პატივისცემაა. კარგი საშუალება ამ პოზიციის გასავარჯიშებლად სკოლის ბავშვების ერთობლივი წახემსების პერიოდებია. მოსწავლეებთან, მშობელთა საბჭოსთან, კვების ექსპერტებთან, მზარეულებთან და გამგეობასთან დიალოგით ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში ვეცადეთ, კარგი კომპრომისისთვის მიგვეღწია. ამჟამინდელი შედეგი ძალზე სასიხარულო ფართო მასშტაბის შეთანხმებაა. გაგრძელდება თუ არა ეს მომავალ წლებში, ჯერ არ ვიცით. მაშინ მშობლებმა, მოსწავლეებმა და სკოლამ კვლავ ახალ შეთანხმებებს უნდა მიაღწიონ, რათა მუდმივად ცვლადი საჭიროებებისთვის შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღონ.

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა თავისი 9 კლასით ჯერ კიდევ ახალგაზრდა სკოლაა, რომელიც იზრდება და იცვლება. ველოდებით მაღალი კლასების საფეხურის დამატებას ახალი საგნებითა და ატესტატით, სასკოლო შენობის გაფართოებას, და მრავალ სხვა ცვლილებას, რომლებიც, ერთი მხრივ, სასიხარულო და აუცილებელია, ხოლო მეორე მხრივ კი, შეწყობის გარკვეულ უნარსა

და შემოქმედებით გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ასე, მაგალითად, მოსწავლეების რიცხვის ზრდა ბავშვების მოყვანა-წაყვანის პერიოდებში სკოლის წინ სატრანსპორტო მოძრაობას საკმაოდ ართულებს. საჭესთან მჯდომი ადამიანების ყურადღებიანი, საზოგადოებაზე ორიენტირებული ქცევის გამოსამუშავებლად და დიდი და პატარა ფეხით მოსიარულეთათვის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მშობელთა საბჭომ მოსწავლეებისთვის მოძრაობის წესების შემსწავლელი პროექტი აამოქმედა.

მოქნილობა, შემოქმედებითი უნარი და ჩვენი სკოლის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებისადმი ღია დამოკიდებულება კარგი ურთიერთშეწყობის წარმატებული და საუკეთესო რეცეპტია. სკოლის ცხოვრებაში მშობლების თანაჩართულობა მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. მშობელთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობა ჩემთვის შინაარსით სავსე და მეტად საინტერესო იყო. მადლობას გიხდით თანადგომისთვის.

პატრისია ლისტა

მშობელთა წარმომადგენელი

სკოლის ფსიქოლოგის სამსახური

სკოლის ფსიქოლოგის სამსახური უკვე წლებია, რაც გერმანული საერთაშორისო სკოლის განუყოფელი ნაწილია. ეს ის სფეროა, რომელიც თანამშრომლობს, როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან და სკოლის ყველა თანამშრომელთან. მისი ამოცანაა სკოლის ცხოვრებაში არსებული გრძელვადიანი გამოწვევებისა თუ კონკრეტულ სიტუაციაში არსებული საჭიროებების ობიექტურად დანახვასა და გამოსავლის ძიებაში მხარდაჭერა. თანამშრომლობის ფორმატს განსაზღვრავს საკითხი, რომელიც, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს დასწავლის უნარის, ქცევითი თუ ემოციური სირთულეების, ოჯახური სიტუაციისა თუ ინდივიდუალური განვითარების თავისებურებების სახით.

მშობლისა და მასწავლებლისთვის ხშირად სკოლის ფსიქოლოგის მხარდაჭერის საჭიროების სიგნალია აკადემიური მოსწრების გაუარესება, რის შემდგომაც იწყება ერთობლივი კვლევა-ძიება მიზეზის გამოსავლენად. ეს არის კომპლექსური და საინტერესო პროცესი, რომლის მთავარი მონაწილე არის მოსწავლე, ხოლო ფსიქოლოგი თვითონ მოსწავლისაგან, ასევე, მშობლისა და მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის, დაკვირვებისა და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ფსიქოლოგიური შეფასების საფუძველზე, განავითარებს ინტერვენციის ისეთ გეგმას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას. არასასურველი ნიშნების მიღების ან სკოლაში სიარულზე უარის თქმის მიზეზი ხშირად დაბალი მოტივაციაა, რაც ზოგჯერ დაკავშირებულია ინტერესების ასაკობრივ ცვლილებასთან, მიჯაჭვულობისა და ახალ გარემოსთან ადაპტაციის სირთულეებთან, შეცდომისადმი დაბალ ტოლერანტობასთან და სხვა. ასეთ რთულ მომენტებში სკოლის ფსიქოლოგი, როგორც მხარდამჭერი, ეხმარება მოსწავლეებს გააანალიზონ საკუთარი აზრები და ემოციები, დაისახონ მიღწევადი მიზნები და შეიმუშაონ სირთულეებთან გამკლავების ისეთი გზები, რომლებიც კონკრეტულად მათთვის იქნება ეფექტური.

ამასთანავე, სკოლის ფსიქოლოგი პედაგოგებთან ერთად აქტიურად ზრუნავს მოსწავლეთა კომუნიკაციური და სოციალური უნარების გაუმჯობესებაზე. მუშაობა მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, რათა მათ შეძლონ საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტირებული დაცვა, კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანად გადაწყვეტა და საზოგადოების პატივისცემა. ეს არის რეციპროკული პროცესი, სადაც მოსწავლეთა მონდომება და მცდელობა მუდმივად წახალისებულია.

სკოლის ფსიქოლოგი ხელს უწყობს სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ინტენსიური თანამშრომლობა ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ უკუკავშირის მიღება და გაცემა ამყარებს და აუმჯობესებს სასკოლო სისტემის მუშაობის ხარისხს.

ამასთანავე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისას, სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლესთან, პედაგოგებთან და მშობლებთან შეთანხმებით, ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს ოპტიმალური შედეგის მისაღწევად.

სკოლის ფსიქოლოგის სამსახური დაინტერესებულ პირებს კონსულტაციებს სთავაზობს კვირაში ორჯერ. ვიზიტის შეთანხმება შესაძლებელია იმეილის საშუალებით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში - წინასწარი ჩაწერის გარეშე. აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ადგილს, სადაც მისულ ადამიანებს სანდო და ემპათიური გარემო დახვდებათ, რაც ხელს უწყობს მათ ჯანსაღ და ეფექტურ ყოფას აწმყოსა და მომავალში.

ქეთევან ზურაბიანი

სკოლის ფსიქოლოგი

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi

გავიდეთ სამყაროში! პრაქტიკა სკოლასა და საბავშვო ბაღში

გერმანელი პრაქტიკანტები გაკვეთილების ჩატარებასა და სასკოლო ცხოვრების სხვა ეპიზოდებში დიდ თანადგომას გვიწევენ. ისინი ჰოსპიტაციას გადიან ჩვენს პედაგოგებთან, ეხმარებიან გაკვეთილის ჩატარებაში და პროფესიულ უკუკავშირს იღებენ. მონაწილეობენ ექსკურსიებსა და, ინტერესისა და კვალიფიკაციის მიხედვით, ჩვენს ნაშუადღევის აქტივობებში.

ჩვენ ქართველ პრაქტიკანტებსაც ვიღებთ, იმ წინაპირობით, რომ შესანიშნავად უნდა ფლობდნენ გერმანულ ენას. მათ შესაძლებლობა აქვთ გერმანული საერთაშორისო სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებას გაეცნონ. ჩვენ მათ პროფესიულ ორინეტაციაში მხარს ვუჭერთ, შესაძლოა პრაქტიკანტი დასაქმდეს კიდეც.

პრაქტიკის გავლა ჩვენს საბავშვო ბაღშიც არის შესაძლებელი. საბავშვო ბაღის ვაკანსიის კანდიდატებმა, როგორც წესი, „წინარე პრაქტიკა“ უნდა გაიარონ. ამგვარად, მათ იმის შემოწმება შეუძლიათ, თუ რამდენად შეესაბამებიან გერმანულენოვანი საბავშვო ბაღის მოთხოვნებს. ამავდროულად, იზრდება ჩვენს საბავშვო ბაღში განაცხადის შემომტან აღმზრდელთა რიცხვი, რომლებიც გერმანიაში სწავლობენ და რომელთაც პროფესიული პრაქტიკა შორი ქვეყნებისკენ უბიძგებთ.

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს 2018/2019 სასწავლო წლის პრაქტიკანტებს მათი მონდომებისთვის და გაწეული მხარდაჭერისთვის (იმათაც, ვინც ფოტოებზე არ ჩანს)!

ბარბარა ვატენდორფი

გამგეობის წარმომადგენელი

ნიკოლოზ ხუციშვილი

ლუსი შნაიდერ, იუდიტ ფაუსტ, იოჰანა პრაისლერ, ქრისტიანე დამან, იულიან ბოლც, იელკა ვებერ, ქეთევან ჩიქოვანი

ჩვენი გახანგრძლივებული სკოლა:

სასწავლო წრეები, საშინაო დავალებების კურირება და მრავალი სხვა!

ჩვენი სკოლა გახანგრძლივებულ რეჟიმში მუშაობს - რა ამოცანებს უნდა გაართვას თავი გახანგრძლივებული სკოლის გუნდმა სასკოლო ცხოვრებაში?

ჩვენი საქმიანობა მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა. სკოლის დირექციასთან ერთად კოორდინაციას ვუწევთ სკოლის წრეებს, რომლებიც სასწავლო წლის თითო სემესტრის განმავლობაში ფუნქციონირებენ. ჩვენი გუნდის შემოქმედებითი ან სპორტული ნიჭით დაჯილდოებული წევრები საკუთარ სასწავლო წრეებს სთავაზობენ მოსწავლეებს, მაგალითად, მე დაწყებით საფეხურზე ენის შესწავლის ხელშეწყობა მევალება, ჩემი კოლეგა, ბელა ღლონტი, დამატებით ჩვენს სასკოლო ბიბლიოთეკას კურირებს.

ამასთან, ჩვენ ნაშუადღევს სხვადასხვა კლასში საშინაო დავალებების შესრულებას ვადევნებთ თვალყურს და პასუხს ვაგებთ სადილის შემდეგ ბავშვების ზედამხედველობაზე, ვიდრე მშობლები მოაკითხავენ ან უფროსი მოსწავლეები თავად არ წავლენ შინ.

დიდი სასკოლო ზეიმების - საშობაო ბაზრობის, კარნავალის ან ზაფხულის დღესასწაულის - წინა პერიოდში სკოლის დირექციასა და პედაგოგთა კოლეგიას ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში ვეხმარებით.

მუშაობის რა თავისებურებები იჩენს თავს მოსწავლეების ასაკის მატებასთან ერთად?

რა თქმა უნდა, ჩვენი მოსწავლეების ასაკობრივ ზრდასთან ერთად საჭიროებებიცა და ჩვენი როლიც იცვლება. ამჟამად საშინაო დავალებების შესრულებას მე-2 კლასში ვუძღვები. იქ ბავშვებს ნამდვილად ვჭირდები და ძალიან უხარიათ, როცა მათთან მივდივარ და ვამოწმებ, რა დაწერეს ან როგორ იანგარიშეს.

აი, საბაზო საფეხურის სასწავლო სივრცეში კი დამოუკიდებელი მუშაობა მიმდინარეობს - უფროს მოსწავლეებს დიდად არ სიამოვნებთ ვინმე ზურგიდან მათ ნაწერს თუ ჩახედავს. აქ უფრო მეტად მშვიდი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაა საჭირო და ყურადღების გამახვილება იმაზე, ვინმე რეფერატზე მუშაობის ნაცვლად ნოუთბუკით ფილმის ყურებას არ შეუდგეს.

თუმცა, უფროსი ბავშვებისთვისაც ნდობით აღჭურვილი პირები ვართ. ყოველთვის ვახლავართ თან ექსკურსიებსა თუ სხვადასხვა გასვლით ღონისძიებაზე, ვსაუბრობთ ნაკლებად მნიშვნელოვან და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც მათ აღელვებთ და, ამგვარად, ბევრ რამეს განვიცდით ერთად. რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში თემებიც იცვლება.

შენი აზრით, კიდევ რისი შეცვლა-განვითარება შეიძლება ჩვენთან? ბოლოს და ბოლოს სკოლა ხომ იზრდება და მალე მაღალი კლასების საფეხურიც გვექნება.

წელს ჩვენს პარტნიორ სკოლას ვეწვიე ჰამბურგში და ძალიან მომეწონა, რომ მათ იქ მაღალი კლასების საფეხურის მოსწავლეებისთვის სასკოლო არტკაფე შეუქმნიათ, რომელსაც თავად განაგებდნენ: ჰქონდათ წყლის ასადუღებელი ბოილერი, ყავის მანქანა, სასმელების მენიუ და მყუდრო გარემო. მოსწავლეები თავად უვლიან ამ სივრცეს, ყიდიან სასმელებს და თავადვე აწესრიგებენ დარბაზს. ამგვარად, მათ გარკვეული საკუთარი სივრცე აქვთ, რომელზედაც თავად აგებენ პასუხს. ეს ამ ასაკში ნამდვილად სჭირდებათ!

ინტერვიუ ინგა ძიძიგურთან,

გახანგრძლივებული სკოლის გუნდის
წარმომადგენელი

ადმინისტრაცია 04

ჩვენი ადმინისტრაცია

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია საბავშვო ბაღსა და სკოლაში მაქსიმალურად აწყობილ სამუშაო პროცესს გთავაზობთ.

ადმინისტრაციის გუნდი მშობლების, მოსწავლეების, პედაგოგების, თანამშრომლების, გამგეობისა და გარე მომსახურე პერსონალისთვის საკონტაქტო პირს წარმოადგენს.

სკოლის ადმინისტრაციის ამოცანები პედაგოგიურ სფეროს არ ეხება - აქ შედის

- სკოლის სამდივნო (მიღება, რეგისტრაციიდან მოხსნა, მშობლებთან კომუნიკაცია, სკოლის საორგანიზაციო საკითხები)
- ფინანსები, ბუღალტერია და კონტროლი
- კადრები
- უძრავი ქონება და მშენებლობის მენეჯმენტი
- სამზარეულო, შესყიდვები და ინფორმატიკა
- კონტაქტები საზღვარგარეთ არსებული სკოლების მთავარ სამმართველოსა (ZfA) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან (AA)

ადმინსიტრაციის გუნდი ყოველდღიურად მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლისა და საბავშვო ბაღის დირექციებთან და გამგეობასთან.

მან უნდა გაითვალისწინოს როგორც გერმანიის მხრიდან დადგენილი შესაბამისი სამუშაო მიმართულებები, ასევე ჩვენი მასპინძელი ქვეყნის, საქართველოს, დებულებები.

მადლობას ვუხდით ადმინისტრაციის მთელ შემადგენლობას 2018/2019 სასწავლო წელს გაწეული შრომისთვის!




ნათია გელაშვილი, გიორგი ხუბულური, ნინო ქურდაძე

ბათუ ჩორგოლაშვილი (ტექნიკოსი), ლევან ხაჩიძე (მამასახლისი)

დასუფთავების გუნდი: ეკა კუპატაძე, თამარ ოსიაშვილი, თიკა კუპატაძე, სოფო მიქიაშვილი, ფატი ყურაშვილიპ

რა მივირთვათ?

2017 წლის სექტემბრიდან, საკუთარ შენობაში გადასვლის შემდეგ, საკვები ჩვენი სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის სკოლის სამზარეულოში მზადდება.

კეტერინგის მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ მივხვდით, თუ რა კარგია, როცა საკვები იქვე მზადდება.

სასკოლო კვება მნიშვნელოვანი თემაა. მოსწავლეების უმრავლესობა მთელ დღეს სკოლაში ატარებს: ისინი ჩვენთან საუზმობენ, სადილობენ და ხშირად სამხრობენ კიდეც. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც საჭმელად დღეში სამჯერ იკრიბებიან.

ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ ფირმა „ავოკადოსთან“, რომელიც ჩვენი სკოლის სამზარეულოში თავის თანამშრომლებს აგზავნის. კვირის მენიუს ერთობლივად ვათანხმებთ. ამასთან, ვითვალისწინებთ ჩვენი სკოლის თანამშრომლების, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირს.

2018/2019 სასწავლო წელს სკოლაში მოსწავლეთა მასშტაბური გამოკითხვა ჩატარდა სასკოლო სამზარეულოს მენიუზე, იმაზე, თუ რის გაუმჯობესება იყო შესაძლებელი, ბავშვებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და სურვილები.

მონაწილეებისთვის ეს შთამბეჭდავი გამოცდილება იყო: მოსწავლეებმა დიდი მონდომებით შეავსეს კითხვარი და საკუთარი წარმოდგენების გაზიარების შესაძლებლობა გამოიყენეს. სკოლისათვის ეს მნიშვნელოვანი უკუკავშირი იყო _ ჩვენი მიზანიც ხომ ესაა, შევძლოთ ისეთი მომსახურების შეთავაზება, რომ ჩვენმა ბავშვებმა ბედნიერად იგრძნონ თავი.

სასწავლო წლის მეორე ნახევარში, 2019 წლის თებერვლიდან, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენი სასკოლო სამზარეულოს მენიუ განვაახლეთ. ამასთან, ჩვენს ბავშვებს შეუძლიათ სახლიდან მოიტანონ საუზმე, თავიანთი სურვილისა და საჭიროებების შესაბამისად. საუზმის შესვენებაზე მოსწავლეებს დამატებით ჩაისა და ხილს ვთავაზობთ. სადილის მენიუც უფრო მრავალფეროვანი გახდა. ბავშვების სურვილების გათავლისწინებით, სალათის ბარის გარდა, მათ ვთავაზობთ, მაგალითად, ახლად დამზადებულ ბურგერებს.

იქ, სადაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი თითქმის ორასი ბავშვი და მოზარდი ყოველდღიურად იკვებება, ალბათ, შეუძლებელია, ყველა კმაყოფილი დარჩეს. საზოგადოებრივი მომსახურების პირობებში ინდივიდუალური პრეტენზიები უნდა შეიზღუდოს კიდეც. თუმცა, ჩვენი შემოთავაზება მაღალი ხარისხის, მაქსიმალურად ჯანსაღი და დაბალანსებული უნდა იყოს.

სასკოლო კვების თემასთან დაკავშირებით მომავალშიც გავაგრძელებთ დიალოგს სამზარეულოსთან, ბავშვებთან და მშობლებთან.

ბარბარა ვატენდორფი

გამგეობის წარმომადგენელი

კომპანია „ ავოკადოს“ ჯგუფი ჩვენი სკოლის სამზარეულოში

05

სკოლის დამფუძნებელთა გაერთიანება

გამგეობის მუშაობიდან

„თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ გამგეობა 2018/2019 სასწავლო წლისთვის 4 ადამიანისგან შედგება. ის კავშირის წევრთა კრების მიერ 2017 წლის 30 ნოემბერს 2 წლით იქნა არჩეული:

- დოქტორი საშა ტერნესი (გამგეობის თავმჯდომარე)
- გიორგი ბათლიძე (თავმჯდომარის მოადგილე)
- თეა თაბაგარი
- დოქტორი ლიკა ღლონტი

გამგეობის წევრები საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მენეჯმენტისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს მათ გამოცდილებას ფინანსების, სამართლის, კადრების, სამშენებლო და განათლების საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროებში. ყველა წევრი საკუთარი განათლებისა და პროფესიული ბიოგრაფიის წყალობით გერმანიაშიცა და საქართველოშიც თანაბრად თავისუფლად გრძნობს თავს და დიდი ინტერკულტურული ცოდნით უზრუნველყოფს გამგეობის ეფექტურ მუშაობას.

გამგეობის სხდომებში რეგულარულად მონაწილეობს გერმანიის საელჩოს ერთი წარმომადგენელი სათათბირო ხმით, ასევე, სკოლის დირექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თბილისის საერთაშორისო გერმანული სკოლა წევრია საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების მსოფლიო გაერთიანებისა, რომელიც საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების თავისუფალ, ქველმოქმედ დამფუძნებელს წარმოადგენს.

გერმანია-სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ჯგუფის წევრების სტუმრობა ჩვენს სკოლაში

2018/2019 სასწავლო წლის მთავარი საკითხები

შტეფანი დროლის სახით გვყავს სკოლის ახალი დირექტორი, რომელიც 2019 წლის აგვისტოში შეუდგება თავის საქმიანობას და სკოლას მაღალი კლასების საფეხურის ფორმირებისას უხელმძღვანელებს. გერმანიაში სკოლის დირექტორების დეფიციტისა და იმ მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით, საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების საქმიანობას რომ უკავშირდება, ჩვენი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევა სულაც არ გახლავთ სწრაფად და მარტივად მოსაგვარებელი საკითხი.

2018/2019 სასწავლო წელს სკოლის კამპუსის გასაფართოებლად დაფინანსების მოპოვება გახდა შესაძლებელი, რაც მზარდი სკოლისთვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. იგეგმება სკოლის შენობის დასრულება (ორი გვერდითი ფლიგელით გაფართოება) და სკოლისა და საბავშვო ბაღისთვის სპორტის/მრავალფუნქციური დარბაზის აშენება. ამ სამშენებლო ინიციატივასაც მნიშვნელოვანწილად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უჭერს მხარს. გარდა ამისა, დამფუძნებელთა კავშირი კვლავ სამშენებლო კრედიტით სარგებლობს.

გამგეობა შეძლებისდაგვარად უწყობს ხელს 2019 წლის დეკემბრისთვის დაგეგმილი გერმანიის განათლების ხარისხის მონიტორინგის მომზადებას, რომლის მსვლელობისას სკოლის ინსპექტორები, სასწავლო პროცესის გარდა, შეაფასებენ სკოლას, როგორც ერთიან სტრუქტურას.

გამგეობის ყოფილი წევრის (ბარბარა ვატენდორფი) გამგეობის წარმომადგენლად დანიშვნით აღნიშნული ორგანოს საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობას დიდი მხარდაჭერა გამოეცხადა. გამგეობის სკოლაზე სრული პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა მიმდინარე საკითხის შესახებ ინფორმაციის გაცვლა და გამგეობის სხდომების საგულდაგულო მომზადება. ამასთანავე, გამგეობის წარმომადგენელი ეფექტურ კომუნიკაციას უზრუნველყოფს გამგეობას, ადმინისტრაციასა და, როგორც სკოლის, ასევე საბავშვო ბაღის დირექციას შორის. ამასთან, მას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება გამგეობის სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

სკოლის კამპუსის გეგმა (ახალი ფლიგელები და სპორტის დარბაზი)

2018-2019 სასწავლო წლის შემოქმედება

COLD
DRINKS



ORANGE
JUICE



ჩემი სკოლის კამპუსი

Deutsche
Internationale
Schule
Tbilissi





კონტაქტი

გამომცემელი:
თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაარსებისა და მხარდაჭერის კავშირი

რედაქტორი:
ბარბარა ვატენდორფი
ელისო ბიბილაშვილი

დიზაინი და გაფორმება:
ფაილაკ (პაკო) პეტროსიანი

კლასებისა და ჯგუფური ფოტოების ავტორი:
მარიამ ჯანაშია

ბეჭდვა: First Floor Group

ტირაჟი: 500 ც.

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა

წყნეთის გზატკეცილი 63, 0162 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 32 2293100
info@deutscheschule.ge
www.deutscheschule.ge